10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.006

დავით მერკვილაძე

დამოუკიდებელი მკვლევარი,
საქართველო
datomerkvila@yahoo.com

სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებანი სამხრეთ კავკასიის სახანოებში 1768-1774 წლებში და ერეკლე II

XVIII ს-ის 60-იანი წლების მეორე ნახევრიდან სამხრეთ კავკასიის სახანოებში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები დაიწყო. ეს გამოიხატა ჯერ ყუბის ხანის, ფათალის მნიშვნელოვანი გაძლიერებითა და მეზობელი სახანოების დამორჩილება-შევიწროებით, ხოლო შემდეგ ამ მომძლავრებული ხანის წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური კოალიციების შექმნით, რომელშიც მეტ-ნაკლებად ჩართული აღმოჩნდა ასევე ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

ჯერ კიდევ 1759 წელს ყუბის ხანმა ფათალიმ მეზობელი დაღესტნელი ბელადების დახმარებით ხელთ იგდო ჩრდილოეთიდან მოსაზღვრე დერბენდის სახანო (ლევიატოვი 1948, 129; აბდულაევი 1965, 202).[1] დერბენდის სახანო მიწა-წყლის სივრცითა და მოსახლეობის რაოდენობით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მისი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო.

როგორც ჩანს, ერეკლე II ეწინააღმდეგებოდა ფათალი ხანის მიერ დერბენდის დაპყრობას. მეტიც, როგორც დერბენდში მყოფი თერგის ჯარების როტმისტრი ყიზლარი კომენდანტს წერდა, როცა ყუბის ხანმა ჩაახშო დერბენდელი ბეგების შეთქმულება, სახანოს დამოუკიდებლობის აღდგენას რომ ისახავდა მიზნად, განჯიდან ფათალი-ხანთან დერბენდში ერეკლე მეფისა და განჯის ხანის ელჩები მისულან. მათ ყუბის ხანს მოწინააღმდეგეებზე გამარჯვება მიულოცეს და საჭიროების შემთხვევაში ჯარის მიშველებასაც შეპირებიან (აბდულაევი 1965, 505; მაჭარაძე 1983, 72).

---

[1] ფათალი-ხანის მიერ დერბენდის აღების თარიღად განსხვავებული წლებიცაა დასახელებული: 1758 წელი (ალკადარი 1929, 78), 1760 წელი (გაჯინსკი 1847; ბერეზინი 1850, 12-13), 1765 წ. (ბრონევსკი 1823, 378; ბუტკოვი 1869, 250).

ამის შემდეგ ფათალი ხანმა თავისი ძალები მიმართა შემახის, იგივე შირვანის სახანოს[1] წინააღმდეგ. თუმცა ამ მიმართულებით ყუბის ხანის წარმატებას ძლიერ აბრკოლებდა შაქის ხან ჰუსეინის (1758-1780) დახმარება შემახელებისადმი (გმელინი 1785: 92). მაგრამ ფათალიმ მოახერხა ჰუსეინ ხანის თავის ბანაკში გადაბირება. სავარაუდოდ, ფათალი ხანმა ჰუსეინ ხანს მათ სამფლობელოებს შორის მოქცეული შირვანის მდიდარი სახანოს დაპყრობის შემთხვევაში იქიდან მაცდუნებელი წილის მიღების პერსპექტივა დაუსახა. 1768 წლის ზაფხულში თავისი და მოკავშირეთა (მათ შორის დაღესტნელი დაქირავებული ჯარის მოხმობით) ძალების სრული მობილიზაციის შედეგად ერთდროულად დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დარტყმის ქვეშ მოყოლილი შემახა გატყდა. შემახის მმართველი ძმები კი დაატყვევეს (მუჰამედ-საიდ ხანი ფათალი ხანმა მოგვიანებით დერბენდის ციხეში გამოკეტა. აღასი-ხანს კი, როგორც უფრო ენერგიულ ახალგაზრდასა და შეუპოვარ მეტოქეს, თვალები დათხარეს).[2] შეთანხმების თანახმად, შირვანის სახანო ფათალი-ხანმა და ჰუსეინ ხანმა ერთმანეთში გაინაწილეს (თითოეული ნაწილის სამართავად შესაბამისი მხარისგან ნაიბები (ნაცვალები) დაინიშნენ). ძალიან მალე ფათალი ხანმა ჰუსეინ ხანის ნაცვალი შემახიდან გააძევა და მთელი შირვანი მიისაკუთრა. ამით კი შაქის ხანი სამუდამოდ გადაიმტერა (ბაქიხანოვი 1991, 160; ვალუევი 1942, 11-12; აბდულაევი 1965, 224-225). 1768 წლის 10 სექტემბერს ენდერის მფლობელი თემირ ჰამზინი ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვს წერდა, რომ ფათალი ხანსა და შაქის ხანს შორის შუღლი ჩამოვარდა და აჯი-ჩელების ძის (ჰუსეინის) მიერ დადგენილი მმართველები შემახიდან გამოყარეს (Русско-дагестанские отношения, 1988, 121).

ფათალი ხანი შემახის სახანოს დაუფლებას არ დასჯერდა და მიზანში უკვე თვითონ შაქის სახანო ამოიღო. ყუბა-დერბენდის ხანმა 1768 წლის აგვისტოსა თუ სექტემბრის დამდეგს ქართლ-კახეთის მეფე

---

[1] სახანოს, რომლის დედაქალაქიც შემახა იყო, იმ ხანებში შირვანის სახანოდაც მოიხსენიებდნენ.

[2] ამ ამბების შესახებ მოგვითხრობილია სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში (ბრონევსკი 1823, 429; ბაქიხანოვი 1991, 160; გაჯინსკი; ბუტკოვი 1869: 253; ალკადარი 1929: 79-80; ვალუევი 1942: 10-11; ლევიატოვი 1948: 130; აბდულაევი 1965, 217-222). აღსანიშნავია, რომ შემახის აღების და სახანოს დაპყრობის განსხვავებულ თარიღად ზოგან მითითებულია 1766 წელი (ბრონევსკი 1823, 429), ზოგან კი - 1767 (გაჯინსკი 1847, ბაქიხანოვი 1991, 160; ალკადარი 1929, 79-80).

ერეკლე II-სა და ყარაბაღის ხან იბრაჰიმს შესთავაზა, თავ-თავიანთი ჯარებით მასთან ერთად ყოველი მხრიდან ელაშქრათ შაქის სახანოზე.[1] ერეკლე II, რომლისთვისაც მიუღებელი იყო მისი სამეფოს სიახლოვეს აგრესიული და სახიფათოდ მზარდი სახელმწიფოს გამოჩენა, არ აჰყვა ფათალი ხანის ამ ეშმაკურ შეთავაზებას. იბრაჰიმ შუშელსაც თვალწინ ედგა მაგალითი შაქის ხანისა, რომლის დახმარებითაც ფათალი ხანმა ხელთ იგდო შემახა, ხოლო შემდეგ თავისი ძალები თვით შაქის სახანოს წინააღმდეგ მიმართა. იბრაჰიმ ხანს მართლაც ჰქონდა შეშფოთების საფუძველი, ვინაიდან შემახის სახანოს (შირვანის) მიერთებით ფათალი ხანი ხელსაყრელ პლაცდარმს ქმნიდა შაქისა და ყარაბაღის სახანოების წინააღმდეგ (აბდულაევი 1965, 215). მართალია, რუსი ჯაშუშები იტყობინებოდნენ, რომ მათთვის უცნობი იყო ადრესატების პასუხი აღნიშნულ შეთავაზებაზე, თუმცა შემდგომმა მოვლენებმა ნათლად დაასტურა, რომ ფათალი ხანის ამ ხერხმა არ გაჭრა: ვერც ქართული სამეფო და ვერც ყარაბაღის სახანო მან ამ ავანტიურაში ვერ აიყოლია.

მიუხედავად ამისა, ფათალი ხანს შაქის წინააღმდეგ თავის გეგმებზე ხელი არ აუღია და საამისოდ კვლავ ნაცად გზას მიმართა: ჰუსეინ ხანის წინააღმდეგ გამალებით დაიწყო დაღესტნელ მთიელთა ჯარის დაქირავება.[2]

ცხადია, ერეკლე II უნდა დაეფიქრებინა ფათალის ხანის ექსპანსიას ქართლ-კახეთის სამეფოს სიახლოვეს. როგორც ჩანს, თავის მხრივ, სწორედ ამ დროს უნდა ეთხოვა შაქის ხანს დახმარება ერეკლე მეფისათვის. ამ თხოვნის თაობაზე ასტრახანის გუბერნატორი მოახსენებდა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიას. იქვე აღნიშნულია, რომ ამის „შემდეგ ერეკლემ ფათალი ხანს გაუგზავნა კაცი, რათა იგი შაქის ხანთან შერიგებულიყო, ხოლო თუკი იგი ამას არ დათანხმდებოდა, მაშინ ერეკლე ჰუსეინ ხანს დაეხმარებოდა, სადაც კი

---

[1] ფათალი-ხანის ამ წინადადების თაობაზე რუსეთის კონსულ სულიაკოვს 1768 წლის 10 სექტემბერს უპატაკებდნენ საგანგებოდ ფათალი ხანის გეგმების გამოსარკვევად შირვანისაკენ გაგზავნილი პირები: რუსეთის საკონსულოს მოხელე ი. მატვეევი, ასტრახანელი ვაჭარი ს. შარიპინი და პრიკაზჩიკი ე. ზამიატინი. დოკუმენტი იხ. (აბდულაევი 1958, 160).

[2] ამის თაობაზე ყიზლარის კომენდანტი პოტაპოვი 1768 წლის 17 სექტემბერს მოახსენებდა საგარეო საქმეთა კოლეგიას. დოკუმენტი იხ. (Русско-дагестанские отношения 1988, 122).

არ უნდა შებრძოლებოდნენ ისინი ერთმანეთს.“[1] როგორც ეტყობა, ერეკლე მეფემ, მუქარისათვის მეტი ძალის მისაცემად, შაქში გასაგზავნი ჯარიც განამზადა. ამან შესაბამისი შედეგი გამოიღო: თავის სახელმწიფოს სამეზობლოს დახასიათებისას, რომელიც გრაფ ნ. პანინისათვის გადასაცემად იყო გამიზნული, 1769 წლის ივნისში ერეკლე II აღნიშნავდა: როცა ყუბის ხანმა დაღესტნელთა დახმარებით „შირვანი დაიჭირა, იქიდამ შაქის ხანზედ მოვიდა და დაამარცხა. ეს საქმე რომ ჩვენთან განცხადებული შეიქნა, ამ ჟამად ჩვენ შაქის ხანს ჯარით შევეწიენით და ამ ჩუენის შეწევნის გამო ყუბახანს თავისი წადილი დაუხსნა და, შერიგება მოინდომა და შერიგდა“ (მაჭარაძე 1988: 359).[2] მაშასადამე, ამჯერად ერეკლე მეფემ სამხედრო მხარდაჭერა გამოუცხადა ჰუსეინ შაქელს ფათალი ხანის თავდასხმის შემთხვევაში.

შაქის ხანის გარდა, ფათალი ხანის აგრესიის შემთხვევაში ერეკლე II-ს თხოვდა დახმარებას ასევე ყარაბაღის ხანი იბრაჰიმი. მეფე საჭიროებისას მასაც შესაბამისი დახმარების აღმოჩენით ამხნევებდა.[3] ამგვარად ჩამოყალიბდა სამი ამიერკავკასიელი მმართველის - ერეკლე II-ის, ჰუსეინ ხანისა და იბრაჰიმ ხანის პოლიტიკური კავშირი ფათალი ხანის აღზევების შესაჩერებლად. ამ კავშირს შეუერთდა შემახის ყოფილი მმართველი, აღასი ხანიც. ეს დამხობილი ხანი ამ დროს თავის ერთგულ მომხრეებთან ერთად მტკვრის პირას მდებარე ადგილას (ჩანს, ყარაბაღის სახანოს საზღვრებში) იყო დამკვიდრებული.

ამ კავშირისა და მისი მიზნების შესახებ 1770 წლის 28 მაისს იტყობინებოდა ქ. ენზელიში რუსეთის კონსული, გ. ბოგოლუბოვი: „როცა დერბენდის ფათალი ხანმა გასულ ორ წელში აიღო შემახა და ამჟღავნებდა თავის მიზნებს, ლეკებთან ერთად წასულიყო უფრო იქით, მაშინ შეშფოთებულმა შაქისა და ყარადაღის (sic. უნდა იყოს ყარაბაღის - დ. მ.) ხანებმა მოუწოდეს კავშირისაკენ ერეკლეს და ერთხმად მოითხოვეს, რომ ფათალი ხანს თუმცაკი ჰქონოდა შემახა თავის დაქვემდებარებაში, მაგრამ მის მფლობელად დაეშვა მის მიერ

---

[1] სამწუხაროდ, გ. აბდულაევი, რომელსაც მოხმობილი აქვს შესაბამისი დოკუმენტიდან, არ უთითებს აღნიშნული მოხსენების თარიღს იხ. (აბდულაევი 1958, 72), ხოლო რუსეთის არქივში დაცული ამ დოკუმენტის (РГАДА, ф. Перс., д. 16, л. 279) სრული სახით ნახვა ჯერჯერობით არ მოგვიხერხდა.

[2] წერილის მაშინდელი რუსული თარგმანისათვის იხ. (ცაგარელი 1891, 435; Армяно-русские отношения 1990, 95).

[3] აბდულაევი 1958, 72; РГАДА, ф. Спарь., сад. 17, ф. 44.

გაძარცული და გაძევებული წინა ხანი შემახისა და რომ წინააღმდეგობის შემთხვევაში, ხსენებულ ორ [ხან]ს საერთო ძალებითა და განსაკუთრებით თვითონ ერეკლეს თავისი [ძალით] სურდა, დაებრუნებინა ფათალი ძველი სამფლობელოს საზღვრებში და მათგან კიდევ რაიმეს ჩამორთმევითურთ.“ (მაჭარაძე 1997, 270-271). მაშასადამე, ფათალი ხანის დაუოკებელი აგრესიის გამოვლინებით შეფიქრიანებული მოკავშირეების მიზანი იყო, აღედგინათ გაუქმებული შემახის სახანო, რომლის მმართველობაში დევნილობიდან დაბრუნდებოდა აღასი ხანი. ამ მოთხოვნაზე ფათალი ხანის თანხმობის შემთხვევაში მოკავშირეებიც დათანხმდებოდნენ შემახის სახანოს ფათალი ხანისადმი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში დატოვებას (რასაკვირველია, სრული შიდა ავტონომიის შენარჩუნებით), მაგრამ თუკი ყუბის ხანი გაჯიუტდებოდა, ისინი გაერთიანებული ძალებით ჩამოართმევდნენ ფათალი ხანს დაპყრობილ-მიერთებულ მხარეებს, ანუ დააბრუნებდნენ ყუბის სახანოს ადრინდელ საზღვრებში.

ამასობაში შემახაში არ ცხრებოდა ადგილობრივთა შეთქმულებანი ფათალი ხანის მმართველობის წინააღმდეგ. ამ შეთქმულებათა უკან იდგა ერთი მხრივ დაუდეგარი აღასი ხანი, და მეორე მხრივ შაქის ხანი ჰუსეინი. 1769 წლის ზაფხულში ერთ-ერთი შეთქმულების აღკვეთის შემდეგ, ფათალიმ ჰუსეინ ხანი აიძულა, დამამცირებელ პირობების შესრულებაზე დაეფიცებინა, რაშიც ფათალი ხანის მიერ მისაკუთრებული შემახის სახანოს საზღვრების დაცვის ვალდებულებაც შედიოდა.[1]

ამ დროისათვის რუსეთის მთავრობას უკვე მოეხერხებინა ერეკლე II-ის დაყოლიება, რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩასართავად. ამის გამო ხანებს შორის მიმდინარე ურთიერთაპირისპირებაში მეფის აქტიურობა რუსული დიპლომატიისათვის შეშფოთების საგნად იქცა. ამით იყო გამოწვეული, რომ კონსული ბოგოლუბოვი შემდეგი წლის მაისში საგარეო საქმეთა კოლეგიას ურჩევდა, საიმპერატორო კარს ერეკლე მეფეს დაარწმუნებინდა, პირდაპირ არ ჩარეულიყო მეზობელი ხანების ურთიერთდაპირისპირებაში და დაკმაყოფილებულიყო შაქისა და ყარაბაღის ხანებისადმი მხოლოდ მორალური თანადგომით. აღსანიშნავია, რომ ამავე დროს კონსულს შესანიშნავად ესმოდა ისიც, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესები მოითხოვდა, შაქისა და

[1] ამის თაობაზე რუსი კონსული სალიანიში, სულიაკოვი ამცნობდა რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას. დოკუმენტი იხ. (აბდულაევი 1958, 163).

ყარაბაღის დაპყრობით ფათალი ხანი კიდევ მეტად არ გაძლიერებულიყო და ამის თაობაზეც ხაზგასმით მიუთითებდა კიდეც თავის წერილში. ამას გარდა, გ. ბოგოლუბოვი საჭიროდ მიიჩნევდა, რომ მეფეს უნდა ეზრუნა ხანებს შორის მშვიდობის დამყარებაზე და არა მტრობის გაღვივებაზე (მაჭარაძე 1997, 271).

როგორც აღნიშნული მოხსენებიდან, ასევე იმ დროს არსებული ვითარების გათვალისწინებით, შეიძლება დაისკვნას, რომ რუსი კონსულის ამ რჩევას ორი გარემოება ედო საფუძვლად: 1. იმ დროს ქართლ-კახეთის სამეფო ოსმალეთთან ომში რუსეთის მოკავშირედ გამოდიოდა და მის სამხედრო აქტიურობას თუნდაც ფორმალურად ირანის გავლენის სფეროდ მოაზრებულ მხარეებში შეიძლებოდა მიმდინარე ომში ნეიტრალური ქერიმ ხანის რუსეთისათის არასასურველი გაღიზიანება გამოეწვია. ირანის მბრძანებლის ნეიტრალიტეტი კი ოსმალეთთან მიმდინარე ომის პირობებში რუსეთისათვის ერთობ მნიშვნელოვანი იყო; 2. ფათალი ხანი რუსეთის პოლიტიკურ მეგობრად და ეკონომიკურ პარტნიორად განიხილებოდა და პეტერბურგში დაინტერსებულნი იყვნენ მისი რუსეთისადმი კეთილგანწყობის შენარჩუნებით. ოსმალეთი ძალიან ცდილობდა დაღესტნელი და ამიერკავკასიელი მუსლიმი მმართველების რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებას. ამ მხრივ რაიმე მეტ-ნაკლებად მასშტაბური მოქმედება კი ფათალი ხანის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო.

მაშასადამე, რუსეთ-ოსმალეთს შორის მიმდინარე საომარი ვითარება ფათალი ხანის პოლიტიკურ წონას მნიშვნელოვნად ზრდიდა (ლევიატოვი 1948, 132). ერეკლე მეფე კარგად ამჩნევდა, რომ ფათალი ხანი რუსეთისათვის საიმედო მოკავშირის სახელის დამკვიდრებას ცდილობდა, რასაც ამ ხანის გაძლიერების წინააღმდეგ მეფის აქტიურობას რუსეთის მხრიდან ერთგვარი შეზღუდვა სდევდა თან. ამიტომ რუსეთის მთავრობის თვალში ფათალი ხანის საიმედოობის დარღვევის სურვილით უნდა აიხსნას რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს საიმპერატორო კარისადმი მიმართულ ერეკლეს წერილში არსებული ხაზგასმა, რომ ყუბის ხანმა შემახა ოსმალეთის სანქციით დაიპყრო იმ პირობით, რომ ხანი საზღვაო ციხეებს გაამაგრებდა (მაჭარაძე 1988, 359). სავარაუდოდ, მეფის ამ სიტყვებში ის იგულისხმება, რომ ფათალის თავის მფლობელობაში

მყოფი კასპიის ნავსადგურები რუსული სამხედრო გემებისათვის უნდა დაეხურა.[1]

თავის სამეზობლოში სახიფათოდ აღზევებული ყუბის ხანის საპირწონედ ერეკლე II ფსონს ყარაბაღის ხანზე დებდა. ფათალი ხანმა მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე თითქმის ყველა ამიერკავკასიური სახანოს მეტ-ნაკლები შემომტკიცება შეძლო და თავისი გავლენა გაავრცელა მტკვრის სამხრეთით მდებარე დასავლეთ კასპიისპირეთის სახანოებზეც (ჯავადისა და თალიშის ანუ ლენქორანის სახანოები). ფათალი ხანის ექსპანსიურ გეგმებს სამხრეთ კავკასიის დანარჩენი სახანოების მიმართ წინ ეღობებოდა ყარაბაღის სახანო (აბდულაევი 1965, 514). ამიტომაც მისთვის აუცილებელი იყო შაქისა და შირვანის გარდა, ყარაბაღის დაუფლებაც (შდრ. ბუტკოვი 1869, 253). მაგრამ ფათალი ხანის ამ გეგმებს გადაულახავ დაბრკოლებას უქმნიდა ერეკლე მეფისა და იბრაჰიმ ხანის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი. იბრაჰიმ-ხალილ ხანმა ქართველი მეფის თანადგომით მტკვრისა და არაქსის ქვემო წელის შუამდინარეთში მდებარე თავისი სახანო ფათალი ხანისათვის ხელმიუწვდომელ გამაგრებულ სამფლობელოდ აქცია და თავისი გავლენა სხვა მეზობელ სახანოებზეც (განჯის, ყარადაღის) განავრცო. შესაბამისად, ფათალი ძალზე მტრობდა ქართლ-კახეთის მეფის მოკავშირე იბრაჰიმ ყარაბაღელს. ყუბის ხანი ასევე მეტად უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ ერეკლე მეფე გულმოდგინედ ესწრაფვოდა მტკვრის სამხრეთით მდებარე ზოგიერთი სახანოს (განჯის, ერევნის, ნახჭევნის) დაქვემდებარებას.

შაქის ხანის მხრიდან წინააღმდეგობის განეიტრალების შემდეგ ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ფათალი ხანი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ აისხამდა იარაღს. როგორც სალიანიში რუსი კონსული მ. სულიაკოვი თავის მოხსენებაში აღნიშნავდა, მას შემდეგ რაც ყუბის ხანმა ჰუსეინ ხანის პირობის ფიცი მიიღო, ჯარს უბრძანა მზადყოფნა „საიდუმლო ღონისძიებისათვის“ და ეს ღონისძიება დიდი ალბათობით სწორედ ყარაბაღის სახანოზე ლაშქრობას გულისხმობდა (აბდულაევი 1958, 163). შესაძლოა, ყუბა-დერბენდის ხანი იმედოვნებდა, რომ ოსმალეთთან ომში მყოფი მეფე ვერ შეძლებდა

[1] ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამებოდა ერეკლე II-ის ეს განცხადება სიმართლეს. გამორიცხული არაა, იგი ერთგვარი დიპლომატიური მანევრიც ყოფილიყო.

ყარაბაღის ხანისათვის სამხედრო დახმარების გაწევას (მაჭარაძე 1983, 75).[1]

რუსეთის ხელისუფლების მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად, ერეკლე II-ს არ შეეძლო გულხელდაკრეფილი ეყურებინა, როგორ დამთავრდებოდა ფათალი ხანის ლაშქრობა ყარაბაღში. თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მეფისთვის ყარაბაღის დაცვა ფათალი ხანის აგრესიისაგან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ 1770 წლის მარტში, იმ დროს, როცა ქართლ-კახეთის მეფე თავისი ჯარით ოსმალეთის წინააღმდეგ ახალციხის საფაშოსაკენ სალაშქროდ დაიძრა, მან მაინც გამონახა საშუალება, იბრაჰიმ ხანისათვის თავისი 4 ათასიანი ჯარი გაეგზავნა ფათალი ხანის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად. თავად ერეკლე II-ს აღნიშვნით, ეს ჯარი შედგებოდა სომხების, თათრებისა და მცირე რაოდენობით ქართველთაგან (მაჭარაძე 1988, 546).[2]

როგორც შესაბამისი წყაროებიდან დგინდება, ფათალი ხანს ყარაბაღში ულაშქრია 1770 წლის აპრილის დასაწყისში. ენზელიში რუსეთის კონსული ბოგოლუბოვი საგარეო საქმეთა კოლეგიას 12 აპრილს მოახსენებდა, რომ ფათალი ხანს მტკვარი გადაელახა და ლეკების ჯარით აოხრებდა ყარაბაღის სოფლებს. იგი ქალაქ შუშასაც კი მიახლოვებია მის ალყაში მოსაქცევად. ყუბის ხანს ძალზე შორს მიმავალი მიზნები ამოძრავებდა. კონსულ ბოგოლუბოვის ამავე ცნობით, დადიოდა თურმე ხმები, რომ შუშის აღების შემდეგ ფათალი

---

[1] გ. მაჭარაძე ერეკლეს მხრიდან ყარაბაღის მიმართ გამოჩენილ ამგვარ ყურადღებას იმით ხსნის, რომ „ფათალი-ხანს ყარაბაღში, საქართველოს საზღვრებთან ლეკები მოჰყავდა, რომლებსაც თურქეთთან კავშირისკენ გზას უხსნიდა“ (მაჭარაძე 1983, 77). ეს მოსაზრება ძნელი გასაზიარებლია, ვინაიდან 1. ცნობილია, რომ ფათალი-ხანმა, ოსმალთა მოწოდების მიუხედავად, რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლა ვერ გაბედა და მეტიც, დაღესტნელ მეთაურებსაც კი ამისაგან თავის შეკავება ურჩია (ამას ზემოხსენებული ავტორიც მიუთითებს, იხ. მაჭარაძე 1983, 77). ამიტომ, ცხადია, ყუბის ხანი მათ არც ოსმალეთისკენ „გაუხსნიდა გზას“; 2. ლეკები ფათალი-ხანის ჯარში ოდენ დროებით, დღიური გასამრჯელოს ფასად დაქირავებულ მებრძოლებს წარმოადგენდნენ და ყარაბაღის დამორჩილების შემთხვევაშიც კი მათი ამ ქვეყანაში დარჩენა, ბუნებრივია, გათვალისწინებული ვერ იქნებოდა.

[2] ერეკლეს მიერ იბრაჰიმ ხანისათვის გაწეული ამ დახმარების თაობაზე წერდა ასევე თავადი მოურავოვი გრაფ ნ. პანინს, 1770 წ. 5 აპრილის პატაკში (ცაგარელი 1891, 216; მაჭარაძე 1988, 555).

ხანი აპირებდა, გზა გაეგრძელებინა თავრიზისაკენ ანდა უშუალოდ ქერიმ-ხანის სამფლობელოებისკენაც კი (მაჭარაძე 1988, 566).[1]

თავის მხრივ ფათალი ხანი დედოფალ ეკატერინე II-ს აღშფოთებული წერდა, რომ როდესაც მან სხვადასხვა ადგილებიდან მოკრებილი ჯარი ყარაბაღის ხანის წინააღმდეგ გაგზავნა, ამ უკანასკნელის დასახმარებლად ერეკლე II-მ თავისი ვაჟი გამოგზავნაო ქართული ჯარით (РГАДА, ფ. სპარ. საქ.15, ფ. 135. აბდულაევი 1958, 72).

უდავოდ ქართლ-კახეთის მეფის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული სამხედრო დახმარება იყო მიზეზი, რის გამოც ფათალი ხანის ლაშქრობა ყარაბაღში წარუმატებლად დამთავრდა. კონსული ბოგოლიუბოვი თავის ზემოხსენებულ წერილში აღნიშნავს, რომ ერეკლე მეფის მიერ ოსმალების წინააღმდეგ განხორციელებულმა ლაშქრობამ (უფრო კი უნდა იგულისხმებოდეს მისი შედეგები - დ. მ.) ფათალი-ხანი აიძულა, უარი ეთქვა თავის განზრახვაზე (მაჭარაძე 1997, 271).[2] ამიტომ შემახაში დაბრუნებული ხელმოცარული ხანი იძულებული გახდა, იქაურ მაცხოვრებელთაგან მუქარითა და ძალის გამოყენებით იძულებით ამოეღო დაქირავებული ლეკთა ჯარისათვის ჯამაგირის გადასახდელად საჭირო თანხა (მაჭარაძე 1997, 459).

ერეკლე II-ის სამხედრო დახმარება ფათალი ხანის მოწინააღმდეგე ხანებისათვის ამით არ ამოწურულა. ყუბის ხანთან დაპირისპირებულ სამხრეთ კავკასიელ ხანებს ახალი მოკავშირე გამოუჩნდათ ავარიის ხანის სახით. 1773 წლის 15 დეკემბერს აზნაური ანდრეი ფილატოვი ყიზლარის კომენდანტ შტედერს აცნობებდა, რომ ავარიის ხანს ერეკლემ მიაშველა ბორჩალოელებად და ყაზახელებად წოდებული თავისი ქვეშევრდომი თათრები (своих подвластных татар называемых

---

[1] გ. აბდულაევი ამ წერილიდან მცირე მონაკვეთის ციტირებისას ბოგოლუბოვის მოხსენების თარიღად უთითებს 1770 წლის 15 ივნისს. თუმცა, როგორც ჩანს, იგი არ სარგებლობდა ორიგინალით, განსხვავებით ვ. მაჭარაძისაგან, რომელიც აღნიშნული მოხსენების ძირითადი ნაწილის გამოქვეყნებისას აბდულაევისაგან განსხვავებულ საარქივო მონაცემების უთითებს, სადაც ასევე აღნიშნულია, რომ დოკუმენტი წარმოადგენს ორიგინალს.

[2] ამ ცნობაზე დაყრდნობით გ. მაჭარაძემ დაასკვნა, რომ ასპინძასთან ერეკლეს გამარჯვებამ და მისმა თადარიგმა ფათალი ხანს ხელი ააღებინა განძრახვაზე, ლეკებით დასხმოდა ყარაბაღს (მაჭარაძე 1983, 76). თუმცა, როგორც ვნახეთ, ფათალი-ხანი ჯარით ასპინძის ბრძოლამდე იყო შეჭრილი ყარაბაღის სახანოში და მისი დედაქალაქისაკენაც (შუშა) კი მიიწევდა.

Борчалы Казак), როცა ეს უკანასკნელი შაქის ხანს, განჯის ხანსა და აღასი ხანთან ერთად ლაშქრობდა შემახაზე. თუმცა რუსი მოხელისათვის უცნობი დარჩენილა ამ დახმარე ჯარის რაოდენობა. გარდა ამისა, მას ეტყობა, ყური მოუკრავს, თითქოს მათთან ერთად ყოფილა მეფის ვაჟიც.[1]

ზემონახსენებ ცნობაზე დაყრდნობით გ. აბდულაევი აღნიშნული მოვლენებს 1773 წლის ნოებრის ბოლო-დეკემბრის დასაწყისით ათარიღებს. მისი სიტყვებით, ამ წარუმატებელი ლაშქრობისას ბრძოლის ველზე დაღუპულან ავარელთა ლაშქრის მეთაურები, ბულაჩ მირზა და მუჰამედ მირზა (აბდულაევი 1965, 520-522).[2]

გ. აბდულაევს აქ ორი მნიშვნელოვანი უზუსტობა მოსდის. 1. ბრძოლის თარიღი. ცნობილია, რომ ამიერკავკასიელმა ხანებმა შემახიდან ფათალი ხანის განსადევნად ავარელთა ჯარის მონაწილეობით ორი გაერთიანებული ლაშქრობა მოაწყვეს. პირველი ლაშქრობისას ავარელთა ჯარს მართლაც მეთაურობდნენ ბულაჩი და მუჰამედი.[3] მაშინ ავარელები შაქის ხან ჰუსეინს დაუქირავებია და 1771 წლის ნოემბერში ისინი უკვე შაქში ჩანან ჩასულნი (გამრეკელი 1968, 195; Русско-дагестанские отношения 1988, 138-139). 1772 წლის 6 თებერვლისთვის კი ფათალი ხანთან გადამწყვეტი ბრძოლა უკვე შემდგარია. ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ ტარკის შამხალი მურთაზალი ამ დღეს ატყობინებდა ასტრახანის გუბერნატორს

---

[1] შესაბამისი დოკუმენტი იხ. წიგნში: (აბდულაევი 1958, 167).

[2] ამ ბრძოლას 1773 წლით ათარიღებს ა. მურთაზაევიც (მურთაზავევი 2018, 148). უფრო ადრე გამოცემულ ნაშრომში გ აბდულაევი ერეკლე II-ის მხარდაჭერით შემდგარ ლაშქრობას ათარიღებდა 1774 წლით: „1774 წ. გაერთიანებული ძალები შაქისა და ყარაბაღის ხანების, შირვანის ყოფილი აღასი ხანისა და სამხრეთ დაღესტნის რიგი ფეოდალები ერეკლე II-ის მხარდაჭერით გამოვიდნენ ყუბის სახანოს წინააღმდეგ. შემახის პლაცდარმზე მიდიოდა ძლიერი ბრძოლები. გამარჯვება დარჩა ყუბას.“ (აბდულაევი 1958, 73).

[3] მათ ხშირად მოიხსენიებენ ავარიის ხანის ვაჟებად (ალკადარი 1929, 80; История Дагестана, 376; ლევიატოვი 1948, 131), ასევე - ავარიის ხანის ძმებად (ბაქიხანოვი 1991, 160). თუმცა მუჰამედ-მირზა მუჰამედ-ნუცალ IV-ის უმცროსი ძმა და ავარიის თანამმართველი ხანი იყო, ხოლო ბულაჩი (უმცროსი) - მისი ვაჟი (გინიჩუტლინსკი). ეს პიროვნებები რომ ხუნძახის ბატონის ძმა და ძმიშვილი რომ იყვნენ, ადასტურებს პირველადი და უფრო სანდო მონაცემები (გამრეკელი 1968, 195; Русско-дагестанские отношения 1988, 138-139).

(Русско-дагестанские отношения 1988, 139-140).[1] ამიტომ ეს ბრძოლა არა 1773 წელს, არამედ უფრო ადრე, 1771-1772 წლის ზამთრის დეკემბერ-იანვარში არის სავარაუდებელი. 2. მოკავშირეებისათვის ერეკლე II-ის მიერ ჯარის დახმარების საკითხი. აზნაურ ფილატოვის ზემოხსენებული წერილის შინაარსიდან აშკარად იკითხება, რომ მასში საუბარია შემახისაკენ მეორე ლაშქრობაზე, როდესაც ავარიის ხანი მუჰამედ-ნუცალ IV (1735-1774 წწ.), იგივე ხუნძახის ბატონი ნურსალ-ბეგი,[2] რომელსაც შურისძიების წყურვილიც ამოძრავებდა, თავის ჯარით უშუალოდ მონაწილეობს შემახისაკენ მომდევნო ლაშქრობაში. ფილატოვის ცნობით, სწორედ ავარიის ხანს მიაშველა ერეკლე მეფემ თავისი ჯარის ნაწილი. მოკავშირეებმა თავდაპირველად შემახის აღება მოახერხეს, თუმცა შემდეგ ძალამოკრებილ ფათალი ხანის ჯართან დამარცხდნენ. მანამდე კი მოწინააღმდეგის სამხედრო ბანაკში მოსალაპარაკელად მიწვეული ავარიის ხანი ღალატით მოკლეს.[3]

ზემოხსენებული მოვლენების დათარიღებაში დიდ სამსახურს გვიწევს აზნაურ ფილატოვის წერილი. აქედან ჩანს, რომ მისი დაწერის დროს, ანუ 1773 წლის 15 დეკემბრისათვის მოკავშირეები უკვე დაუფლებოდნენ შემახას, ხოლო ფათალი ხანს შიკრიკი გაეგზავნა ტარკის შამხალთან დაღესტნელ დაქირავებულთა დასაქირავებლად, რათა შემახიდან თავისი მოწინააღმდეგეები განედევნა. მაშასადამე, ერეკლეს გაგზავნილი ჯარის მონაწილეობით ფათალი ხანისათვის შემახის წართმევა მართლაც 1773 წლის ნოემბერში ან დეკემბრის დასაწყისშია სავარაუდებელი (ოღონდ მუჰამედ-ნუცალის მეთაურობით შემდგარი ლაშქრობის დროს და არა ბულაჩისა და მუჰამადის მეთაურობით), მაგრამ ფათალი ხანს შემახა 1774 წლის

---

[1] 1772 წლის 2 მარტს კი თვითონ ავარიის მფლობელი მუჰამედ-ნუცალ-ხანი ყიზლარის კომენდანტ პარკერს სწერდა, რომ დაღუპული თამამომძმეების გამო შურისძიებას აპირებდა და ითხოვდა შამხალ მურთაზალის მომავალ სამხედრო დაპირისპირებაში ჩარევა აკრძალვოდა (Русско-дагестанские отношения 1988, 141).

[2] „ნუცალი“ ავარიის ხანების ტიტული იყო, რომლის სახესხვაობას წარმოადგენს ქართული წყაროების „ნურსალი“. თუმცა იგი ხანდახან საკუთარი სახელის დანამატად იქცეოდა. ასეთი შემთხვევებისას მეზობელ ქვეყნებში „ნუცალი“ მთლიანად საკუთარ სახელადაც მოიაზრებოდა ხოლმე. პ. ბუტკოვიც ზემონახსენებ ნუცალს მერსელ-ხანის სახელით იხსენიებს. რაც შეეხება ხუნძახს, იგი ავარის სახანოს ცენტრი იყო და ამის გამო მთელი მხარე ამ სახელითაც იწოდებოდა.

[3] აღნიშნული მოვლენების შესახებ დეტალურ ცნობებს ვხდებით XIX -ის ავტორებთან (ბაქიხანოვი 1991, 161; გაჯინსკი 1847; ალკადარი 1929, 81).

დასაწყისში უნდა დაებრუნებინა. შესაბამისად, გამართლებული არ ჩანს ავარიის ხანის ლაშქრობის 1774 წლით დათარიღება შდრ. (ლევიატოვი 1948, 132; აბდულაევი 1958, 73; აბდულაევი 1965, 522; გეზალოვა 2010, 107-108).[1]

აქვე უნდა შევნიშნოთ 1773 წლის 30 დეკემბერს ენზელიში რუსეთის ახალი კონსულის, ვ. იაბლონსკის შეტყობინებაზეც: „ფათალი ხანის შესახებ აცხადებენ, რომ მან სთხოვა უფლისწულ ერეკლეს დახმარება და ათი ათას კაცს ელოდება“ და მეზობლებშიც აგროვებს ჯარს, რათა შური იძიოს შემახის დაკარგვის გამო (მაჭარაძე 1983, 79). ძნელი სათქმელია, რამდენად შეესაბამება ეს ცნობა სიმართლეს. საეჭვოა, რომ ფათალი ხანს შემახის დასაბრუნებლად დახმარება ეთხოვა ერეკლე II-სათვის, რომლის მონაწილეობითაც მან დაკარგა ეს მხარე. არადამაჯერებლად გამოიყურება მოსალოდნელი დამხმარე ჯარის დასახელებული რაოდენობაც (10 000 კაცი). ის გარემოება კი, რომ ენზელიში, ყუბის სახანოდან საკმაოდ დაშორებულ ქალაქში მყოფი კონსული ამის თაობაზე თხრობას იწყებს სიტყვებით - „ფათალი ხანის შესახებ აცხადებენ“, გვაფიქრებინებს, რომ იგი ამას უფრო მოარული ხმების მიხედვით იუწყება, ვიდრე - სანდო წყაროზე დაყრდნობით. გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ მეფეს ყუბის ხანისათვის აღნიშნულ ლაშქრობაში არანაირი დახმარება არ გაუწევია. თუმცა ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ ცრუ ხმები ერეკლეს მხრიდან დიდი სამხედრო დახმარების მოლოდინის შესახებ თვით ფათალი ხანის გავრცელებული ყოფილიყო.

გ. აბდულაევს ნიშანდობლივად ეჩვენა, რომ ფათალი ხანის გაძლიერების აღსაკვეთად ერეკლე II-მ მხარი დაუჭირა ავარიის ხანსაც კი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი „მუდმივად აწუხებდა თავისი თავდასხმებით ქართველებს“ (აბდულაევი 1965: 520). ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ ჩანს ის გარემოება, რომ მას შემდეგ, რაც მუჰამედ-ნუცალის მეთაურობით საქართველოში დაღესტნელთა მეორე ლაშქრობაც (1755 წელს ყვარლის ციხეზე) წარუმატებლად დასრულდა, ნუცალმა ერეკლე II-სთან შერიგება ამჯობინა და შემდგომ იგი მეფისგან ჯამაგირსაც კი იღებდა (მაჭარაძე 1988, 360-361; Грамоты 1891, 437).

საგულისხმოა, რომ მუჰამედ-ნუცალი ერთი წლით ადრე იყო უკვე ჭარში ჩასული ფათალი ხანზე შურის საძიებლად. მაშინ

[1] გვხვდება ავარიის ნუცალის ლაშქრობის ზოგადად 1773 წლით დათარიღებაც (История Дагестана, 376) აღნიშნულ მოვლენებს შეცდომით 1772 წელში აქცევს ვ. ბუტკოვი (ბუტკოვი 1869, 254).

მოუსავლიანობისაგან გამოწვეული სურსათის ნაკლებობის გამო ავარიის ხანი იძულებული გამხდარა, თანმხლები ჯარის დიდი ნაწილი უკან გაებრუნებინა. ამიტომ იგი ერეკლე მეფეს თხოვდა სურსათსა და დამხმარე ჯარს ყუბის ხანის წინააღმდეგ (Грамоты 1891, 491). ერეკლე II უარზე არ იყო, თუმცა საკუთარ პირობებს აყენებდა. შეთანხმების მიღწევა მეფესა და ხუნძახის ბატონს შორის გართულდა. საკმარისი სამხედრო ძალების უქონლობის გამო მუჰამედ-ნუცალმა მოკლული ნათესავების სისხლის სანაცვლოდ ფათალი ხანისაგან მოითხოვა ფულადი კომპენსაცია და უარის შემთხვევაში მომავალში თავდასხმით დაემუქრა (Грамоты 1891, 492). როგორც შემდგომი მოვლენებიდან ირკვევა, ფათალი ხანი კომპენსაციის გადახდას არ დათანხმდა, ნუცალი კი შურის საძიებლად მეორე წელს დაბრუნდა დიდი ჯარით. საგულისხმოა, რომ საქართველოში მყოფი რუსი სამხედრო მოხელეები ერეკლე II-საგან ამჯერადაც მოითხოვდნენ, „არანაირი მიზეზით არ შეხებოდა სპარსელ ხანებს.“ (Грамоты 1891, 492). სავარაუდოდ ამ ვითარების გამო გააგზავნა მეფე ერეკლემ ფათალი ხანის წინააღმდეგ მუსლიმ ყაზახ-ბორჩალოელთა რაზმი, რათა მისი მონაწილეობა ანტიყუბურ კოალიციაში ამ გზით ნაკლებად თვალშისაცემი ყოფილიყო. თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, რუსეთის დაზვერვისათვის მეფის ეს შეფარული სამხედრო ნაბიჯიც არ დარჩენილა შეუმჩნეველი.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ერეკლე II-მ ფათალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლას 1774 წლის დასაწყისიდანვე გამოეთიშა და ეს მოხდა შემდეგი მიზეზით: რუსეთის კონსულ ვ. იაბლონსკის მოხსენების თანახმად, ირანის ვექილმა ქერიმ ხანმა თანადგომა გამოუცხადა მოკავშირეებს ფათალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოუწოდებდა მათ ამ უკანასკნელისათვის ყველა სამფლობელო წაერთმიათ და მოეკლათ იგი, ხოლო შემდეგ ელაშქრათ ერეკლეს წინააღმდეგ და ქართლში მის ნაცვლად გაემეფებინათ ალექსანდრე ბატონიშვილი, რომელსაც ვექილი ირანიდან გამოატანდა საგანგებოდ ამ ბრძანების გადასაცემად გამოგზავნილ ელჩებს. სამაგიეროდ, ქერიმ-ხანი ჰუსეინ ხანს ბეგლარბეგობას, ნურსალ ხანს სარდლობას, აღასი-ხანს კი შემახის ნაიბობას უბოძებდა. ეს ცნობილი გახდა ერეკლე მეფისათვის, რომელმაც შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო: „ფათალი ხანის თხოვნით შაქის ჰუსეინ-ხანს შეუთვალა, რომ თუ იგი ადგილიდან დაიძვრება, ერეკლეს მზად ჰყავს ჯარი, რომელსაც ნაბრძანები აქვს დაარბიოს შაქი და მის ხელისუფლებაში მყოფი

ულუსები, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფათალი-ხანს შემახის დაკავებაში“ (გ. მაჭარაძე, 1983, 80-81).[1]

მართალია, კონსულის წერილი 1774 წლის 9 ივნისითაა დათარიღებული, მაგრამ როგორც მისი შინაარსიდან ირკვევა, ქერიმ ხანს ზემოაღნიშნული დავალებით ელჩები მას შემდეგ გამოუსტუმრებია, როცა გაიგო, რომ მოკავშირეებს შემახა უკვე აეღოთ. ამ მოხსენებაში მითითებული არ არის ირანის მბრძანებლის მიერ კავკასიაში ელჩების გამოგზავნის დრო, მაგრამ აშკარაა, ეს 1773 წლის ბოლოს, უფრო კი შემდეგი წლის იანვარში უნდა მომხდარიყო, ვინაიდან გზად ელჩებს მოკლე ხანში შეუტყვიათ, რომ ფათალი ხანს შემახა უკვე დაებრუნებინა, ნურსალ ხანი კი მოეკლათ და უკანვე გაბრუნებულან. მაშასადამე, ქართველ მეფეს ქერიმ ხანის ამ გადაწყვეტილების გამო რომ ეთქვა უარი ფათალი ხანის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თავისი ჯაშუშებისაგან ქერიმ ხანის გეგმების შესახებ მყისიერად უნდა შეეტყო, რაც ინფორმაციის მიწოდების იმდროინდელი სიჩქარის გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა. რაც შეეხება ერეკლე II-ის მიერ პოზიციის მსწრაფლ რადიკალურ ცვლილებას და თავისი მოკავშირეების წინააღმდეგ გამოსვლას, უნდა ითქვას, რომ რუსი კონსულის წერილში აქ გარკვეული გაუგებრობა შეინიშნება. კერძოდ, იგი იქვე აღნიშნავს, რომ „თუმცა შემახის ხანს აღასის საკმაოდ ბევრი ლეკი ჰყავდა ორი ხანით და გარემოცვა, როგორც ამბობენ, ათი დღე გრძელდებოდა, მაგრამ გაიმარჯვა ფათალი ხანმა და მოკლა ლეკი მუსალ (ნურსალ - გ. მ.) ხანი და დიდი რაოდენობით სხვებიც“ (მაჭარაძე 1983, 80). ვფიქრობ, აღასის თანმხლებ „ლეკების ორ ხანში“ ზემოხსენებული ბულაჩ მირზა და მუჰამედ მირზა უნდა იგულისხმებოდნენ. მაგრამ ვინაიდან შემდეგ საუბარია ნუცალის სიკვდილის შესახებ, ეს გვაფიქრებინებს, რომ ვ. იაბლონსკის შემახაზე ავარელთა მონაწილეობით განხორციელებული ორი ლაშქრობის შესახებ ცნობები ერთმანეთში აქვს არეული.

ავარიის ნუცალისადმი მიუღებელი წესით ანგარიშსწორებამ ფათალი ხანის წინააღმდეგ გაერთიანების დამატებითი საბაბი მისცა დაღესტნელ ბელადებს, რომელთაც სამხრეთ კავკასიის მომიჯნავე სახანოთა (ნუხა, ყუბა, შემახა) მიწებზე თვალი ისედაც ეჭირათ.

---

[1] ვ. იაბლონსკის მოხსენების (АВПР, ф. Сношение России с Персией, оп. 77/6, д. 466, л. 18-20) შინაარსი და მისი ამონარიდი აქაც შემდეგაც მოგვყავს აღნიშნული მოსაზრების ავტორ გ. მაჭარაძისავე ნაშრომის მიხედვით - იხ. (მაჭარაძე 1983, 80-81).

საბოლოოდ ხაიდაყის უცუმის, ამირ-ჰამზას ირგვლივ დაირაზმა დაღესტნელი მთავრების უმეტესობა: ყაზი-ყუმუხის ხანი მუჰამედი (1743-1789 წწ.), ავარიის ხანი ომარი (1774-1801 წწ. - მოკლული ნუცალის ძე და მემკვიდრე), ყაზანიშის მმართველი მუჰამედ ტიშსიზი (უკბილო), თაბასარანის ყადი რუსტამი და სხვები (ლევიატოვი 1948, 133).

დაღესტნელთა აღნიშნულმა კავშირმა იმავე 1774 წლის ზაფხულში გავდუშანის ველზე სასტიკად დაამარცხა ფათალი ხანი, რომელმაც თავის სამფლობელოთა დიდ ნაწილი დაკარგა.

გამართლებული არაა ფათალი ხანის წინააღმდეგ გაერთიანებულ დაღესტნელ მეთაურთა ამ ალიანსის მონაწილედ ერეკლე II-ის დასახელება, რომელიც თითქოს „ყარაბაღისა და შაქის ხანებთან კავშირში, გამოვიდა ფათალი ხანის წინააღმდეგ“ (შდრ. История Дагестана, 377). აღსანიშნავია, რომ აქ არ არის მითითებული, თუ რომელ წყაროზე დაყრდნობით კეთდება აღნიშნული დასკვნა. საგულისხმოა ასევე, რომ შესაბამის წყაროებში ავარელთა მონაწილეობით ფათალი ხანის წინააღმდეგ მომდევნო ლაშქრობებზე საუბრისას ქართლ-კახეთის მეფე და მისი მოკავშირეები (შაქისა და ყარაბაღის ხანები) საერთოდ არ არიან ნახსენები. როგორც ჩანს, მათი სახელები შეცდომით იქნა დაკავშირებული მოგვიანებით შემდგარ ლაშქრობასთან.

მაშასადამე, მუჰამედ-ნუცალის დაღუპვის შემდეგ დაღესტნელ მოკავშირეთა მიერ ფათალი ხანის წინააღმდეგ წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში (მაგ., ცნობილი ბრძოლა გავდუშანის ველზე და ა. შ.) ერეკლე მეფის მონაწილეობა საისტორიო წყაროებით არ დასტურდება.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაძლიერებული ფათალი ხანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში პირველობისათვის ბრძოლაში ერეკლე II-ის მთავარ მეტოქედ იქცა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც ფათალი ხანი ერთპიროვნულად გაბატონდა შემახაში და საფრთხე შეუქმნა შაქისა და ყარაბაღის ხანებს, ამ უკანასკნელთ ერეკლე მეფემ პოლიტიკური თანადგომა გამოუცხადა და იბრაჰიმ ხანს სამხედრო მხარდაჭერაც აღმოუჩინა ყარაბაღზე ფათალი ხანის თავდასხმის დროს. ქართველი მეფე ასევე მოიაზრება ავარიის ნუცალისა და სამხრეთ კავკასიელ მმართველთა ალიანსში, რომელიც მიზნად ისახავდა შემახიდან ფათალი ხანის განადევნას. ამ დროს მომხდარ საბრძოლო შეტაკებაში ერეკლე მეფის გაგზავნილი ჯარიც იღებს მონაწილეობას, თუმცა ერთგვარად შეფარული სახით, ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება მას ამიერკავკასიელ ხანებს შორის

დაპირისპირებაში ჩარევისაგან თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ ამასთანავე არ შეიმჩნევა ერეკლე II-ის მონაწილეობა ფათალი ხანის წინააღმდეგ შექმნილ მეორე კოალიციაში, რომელშიც წამყვან ძალებს მთლიანად დაღესტნელი მთავრები წარმოადგენდნენ.

ბიბლიოგრაფია

აბდულაევი 1965: Абдуллаев Г., Азербайджан в XVIII веке и взаимоотношения его с Россией, Баку, 1965.

აბდულაევი 1958: Абдуллаев Г. Б., Из истории Северо-Восточного Азербайджана в 60-80-х гг. XVIII в., Баку, 1958.

ალკადარი 1929: Алкадари Гасан-Эфенди, Асари Дагестан, (Исторические сведения о Дагестане), перевод и примечания А. Гасанова, Махачкала, 1929.

Армяно-русские отношения, 1990. Армяно-русские отношения, 1990 в XVIII веке (1760-1800), сборник документов, т. IV, под ред. М. Г. Нерсисяна, Ереван, 1990.

ბაქიხანოვი 1991: Бакиханов А., Гюлистан-и Ирам, Редакция, комментарии, примечания и указатели акад. З., Буниятова, Баку, 1991.

ბერეზინი 1850: Березин И., Путешествіе по Дагестану и Закавказью, ч. 2, Казанъ, 1850.

ბრონევსკი 1823: Броневский С., Новейшие известия о Кавказе, собранныя и пополненныя, Москва, 1823, т. 2.

ბუტკოვი 1869: Бутков П., Материалы для новой истории Кавказа с 1722 по 1803 год. ч. 1. СПб., 1869.

ვალუევი 1942: Валуев П., Фатали-хан кубинский, Баку, 1942.

გამრეკელი 1968: Документы по взаимоотношениям Грузии с Северным Кавказом в XVIII в., Документы подобрал, подготовил к печати и предпослал им исследование В. Н. Гамрекели, Тб. 1968.

Русско-дагестанские отношения 1988, Русско-дагестанские отношения в XVIII - начале XIX в. Сборник документов, под ред. В. Г. Гаджиева, Москва, 1988.

История Дагестана 1967, История Дагестана, т. I, ответв. ред. В. Г. Гаджиев, Москва, 1967.

გაჯინსკი 1847: Гаджинскій Искендеръ-Бекъ, Жизнь Фетъ-Али-Хана Кубинскаго, «Кавказ», 1847, N 48.

გინიჩუტლინსკი: Гиничутлинский Х., Историкобиографические и исторические очерки, http://www.fatiha.ru/knigi/istoria/umahan.html

გმელინი 1785: Гмелин С.-Г., Путешествие по России, ч. III, половина первая, СПБ, 1785.

ლევიატოვი 1948: Левиатов В., Очерки из истории Азербайджана в XVIII веке, Баку, 1948.

მურთაზაევი 2018: Муртазаев А., Военно-политические события на Кавказе в 50-70 гг. XVIII в. и роль Дербента в них, ACTA HISTORICA: труды по истории, археологии, этнографии и обществознанию № 1, 2018.

მაჭარაძე 1988: მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III. ნაკვ. I. რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1988.

მაჭარაძე 1997: მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწ. III. ნაკვ. II, რუსეთ-თურქეთის ომი 1768-1774 წლებში და საქართველო, თბ., 1997.

მაჭარაძე 1983: მაჭარაძე გ., ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობანი აზერბაიჯანის სახანოებთან XVIII საუკუნის 60-80-იან წლებში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების სერია, თბ., 1783. #1.

Грамоты 1891. Грамоты и другіе историческіе документы XVIII столѣтія, относящіеся до Грузіи. Томъ I, съ 1768 по 1774 годъ. Подъ редакціей А. А. Цагарели, СПб., 1891.

გეზალოვა 2010: Гёзалова Н., Вопросы истории Азербайджана XVIII в. (на основе сведении англоязычных источников и историографии), Баку-Москва, 2010.